საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაციის
ქუთაისის ფილიალი

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

წლიური ანგარიში 2024

კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

ქუთაისის ფილიალი

წლიური ანგარიში

2024

სარჩევი

მისასალმებელი სიტყვა 3
საიას ქუთაისის ფილიალის საქმიანობის შესახებ 4
თანამშრომლობა საქართველოს პარტნიორებსა და არასამთავრობო სექტორთან 5
სამართლებრივი დახმარება 6
იურიდიული კონსულტაციები და სამართლებრივი დოკუმენტები 6
საადვოკატო მომსახურება 7
წარმატებით დასრულებული მნიშვნელოვანი საქმეები 7
ადამიანის უფლებების დაცვა 9
სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი 9
წარმატებული საადვოკაციო კამპანია 9
ტრენინგები, საჯარო ლექციები და დისკუსიები 10
დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა 11
წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგი 11
საინფორმაციო შეხვედრები ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით 11
საარჩევნო დავები 12
ადგილობრივი თვითმმართველობა 12
იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება 13
სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლა 13
ბრეინ-რინგი 14
სტაჟირების პროგრამა 14
საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობა 16
მედიამონიტორინგი 17

მისასალმებელი სიტყვა

ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, კვლავ მოგესალმოთ საიას ქუთაისის ფილიალის სახელით და შევაჯამო ფილიალის საქმიანობა. დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს ნდობისა და მხარდაჭერისთვის!

2024 წელი ფილიალის ისტორიაში სირთულეებით გამოირჩეოდა და სავსე იყო გამოწვევებით. ეს განპირობებული იყო ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით, რომლებიც ადამიანის უფლებების დარღვევებითა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უკუსვლით ხასიათდებოდა. ფილიალის საქმიანობა წარიმართა სამოქალაქო სივრცის შეზღუდვის ფონზე, რაც განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვდა საფრთხეებთან გასამკლავებლად.

მნიშვნელოვანია, რომ განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა და მეტად გამოკვეთა საიას საქმიანობის მნიშვნელობა. გამოჩნდა, რომ ამ მდგომარეობაში განსაკუთრებით სჭირდებათ საიას დახმარება ადამიანებს, მოწყვლად პირებს და ამ პროცესში საამაყოა მათი ნდობა ორგანიზაციის მიმართ. საანგარიშო პერიოდში ფილიალის ადვოკატებმა კონსულტაცია გაუწიეს და სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებაში დაეხმარნენ ასეულობით ადამიანს, მათ შორის, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ პირებს, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს, შშმ პირებს, ბავშვებს, აქტივისტებს, დევნილებს და ყველა იმ პირს, რომლებიც დახმარებისთვის მოგვმართავდნენ.

საიას ქუთაისის ფილიალი აქტიურად იყო ჩართული საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიაში, როგორც წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის, ისე არჩევნების დღეზე დაკვირვებისა და არჩევნების შემდგომ პერიოდში საარჩევნო დავების წარმართვაში.

ფილიალის წარმომადგენლები ატარებდნენ ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით. ფილიალი კვლავ ზრუნავდა კვალიფიციურ იურიდიულ განათლებაზე - სტუდენტებისთვის სტაჟირების პროგრამის, ხოლო მოსწავლეებისთვის საკვირაო სკოლის მეშვეობით.

წინ საქართველოსთვის გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე 2025 წელია. ამ პროცესში კი არსებითია, საიამ კვლავ შეასრულოს თავისი როლი ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიის გაძლიერებისა და სამართლის უზენაესობის დასაცავად!

პატივისცემით,

დარეჯან სალდაძე,

საიას ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარე

საიას ქუთაისის ფილიალის საქმიანობის შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი დაფუძნდა 1996 წლის ნოემბერში. ფილიალის საქმიანობა ვრცელდება იმერეთის თორმეტივე მუნიციპალიტეტზე. ესენია: ქუთაისი, წყალტუბო, ზესტაფონი, თერჯოლა, ხარაგაული, ტყიბული, საჩხერე, ჭიათურა, ვანი, ბაღდათი, ხონი, სამტრედია. ასევე, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი.

საიას ქუთაისის ფილიალი თავის საქმიანობას წარმართავს საიას ძირითადი სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, სამი პროგრამული მიმართულების ფარგლებში:

- ✓ ადამიანის უფლებების დაცვა
- ✓ დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა
- ✓ სამართლებრივი დახმარება

დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საიას ქუთაისის ფილიალის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2024 წლის ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდი: 2024 წლის 1-ლი იანვარი – 2024 წლის 31 დეკემბერი.

თანამშრომლობა საქართველოს პარტნიორებთან და არასამთავრობო სექტორთან

2024 წელს განსაკუთრებით მაღალი იყო პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესი საქართველოს მიმართ.

საიას ქუთაისის ფილიალში გაიმართა ხუთი შეხვედრა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) წარმომადგენლებთან, ოთხი შეხვედრა - ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წევრებთან, ხოლო ორი შეხვედრა - ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიასთან. საიას ქუთაისის ფილიალის თანამშრომლებმა საერთაშორისო ორგანიზაციებს მიაწოდეს ინფორმაცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოსა და, შემდგომ უკვე, არჩევნების სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით.

ასევე, მნიშვნელოვანი იყო შეხვედრები ელჩებთან, მათ შორის, ბრიტანეთის ელჩ გარეტ უორდთან და საფრანგეთის ელჩ შერაზ გასრთან. დისკუსიის ფარგლებში შესაძლებლობა გვქონდა, გვესაუბრა რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობასა და გამოწვევებზე. ასევე, განვიხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების როლი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების პროცესში.

საანგარიშო პერიოდში საიას ქუთაისის ფილიალი აგრძელებდა ტრადიციას რეგიონში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით. ფილიალის წარმომადგენლები მართავდნენ დისკუსიებს და მონაწილეობდნენ ადგილობრივი ორგანიზაციების ყოველთვიურ შეხვედრებში, რაც აღრმავებდა პარტნიორულ ურთიერთობებს და ხელს უწყობდა რეგიონში მთავარი გამოწვევების განსაზღვრას.

სამართლებრივი დახმარება

საიას მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებად რჩება ადამიანის უფლებების დაცვა. საანგარიშო პერიოდში ფილიალის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მოსახ-ლეობისთვის უფასო სამართლებრივი დახმარების გაწევა იყო.

იურიდიული კონსულტაციები და სამართლებრივი დოკუმენტები

საანგარიშო პერიოდში საიას ქუთაისის ფილიალმა სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია 5660 პირს. ფილიალის იურისტებმა ბენეფიციარებისთვის მოამზადეს 570 სამართლებრივი დოკუმენტი შემდეგ თემებზე: დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, ბავშვის საკუთრებაში რეგისტრირებული ქონების განკარგვა, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლებების დაცვა, ბავშვის ნახვის დღეებისა და საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და ა.შ. წარდგენილი მოთხოვნების უმრავლესობა დაკმაყოფილდა.

კონსულტაციები ტიპების და მიმართულებების მიხედვით

პირადი	სატელეფონო	ონლაინ
2732	1277	230

სამოქალაქო სამართალი	ადმინისტრაციული სამართალი
2050	2189

სამართლებრივი კონსულტაციები, ძირითადად, შეეხებოდა შემდეგ თემებს: საოჯახო, მემკვიდრეობითი, შრომითი, სახელშეკრულებო სამართალდარღვევა; პერსონალური მონაცემების დაცვა; სოციალური დახმარება; დისკრიმინაცია; ბავშვის უფლებები; დევნილთა უზრუნველყოფა საცხოვრებლით; საკუთრების უფლება; აღსრულება; პაციენტის უფლებების დაცვა; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

საადვოკატო მომსახურება

საანგარიშო პერიოდში საიას ქუთაისის ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრი ახორციელებდა უფასო საადვოკატო მომსახურებას, რომლის ფარგლებშიც, ფილიალის წარმოებაში იყო 34 საქმე, მათ შორის:

სამოქალაქო საქმე	ადმინისტრაციული საქმე
13	21

წარმატებით დასრულებული მნიშვნელოვანი საქმეები

- **სასამართლომ შშმ პირის მიმართ დისკრიმინაცია დაადგინა და სააგენტოს ზიანის ანაზღაურება დააკისრა**

საიას ქუთაისის ფილიალი იცავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინტერესებს, რომელიც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გაათავისუფლეს დისკრიმინაციული საფუძვლით.

ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, გათავისუფლების შესახებ ბრძანება ბათილად გამოცხადდა. შედეგად, დ.ს-ს აუნაზღაურდა განაცდური და აღადგინეს პოზიციაზე. უზენაესი სასამართლოს განჩინებით კი, მის მიმართ დადგინდა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით და სააგენტოს, მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, 10 000 ლარის გადახდა დაეკისრა.

- **ბავშვისთვის გაწეული არაკვალიფიციური სამედიცინო დახმარების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამედიცინო დაწესებულებას დაეკისრა**

ფილიალს წარმოებაში ჰქონდა საქმე, რომელიც ეხებოდა არაკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას, რომლის შედეგადაც, ბავშვი შშმ პირი გახდა.

საია წარმოადგენდა ბავშვის ინტერესებს პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე. შედეგად, ექიმს დაეკისრა პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ გაწეული სამედიცინო მომსახურება იყო არაკვალიფიციური და მას პაციენტის გამოჯანმრთელება არ მოჰყოლია, მეტიც, არასრულწლოვანი შშმ პირი გახდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამედიცინო დაწესებულებას მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა.

- **5 პენსიონერს უკანონოდ შეწყვეტილი პენსია აღუდგა**

საიას ქუთაისის ფილიალს წარმოებაში ჰქონდა 5 პენსიონერის საქმე, რომლებსაც სახელმწიფო პენსია უკანონოდ შეუწყდათ. კონკრეტულად, საია იცავდა პენსიონერთა ჯგუფს, რომლებიც სხვადასხვა დროიდან დასაქმებულნი იყვნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტორულ მუზეუმ-ნაკრძალში სხვადასხვა პოზიციაზე.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, იმის გამო, რომ ეს პირები ახორციელებდნენ საჯარო საქმიანობას, ამ პერიოდის განმავლობაში მათ დანიშნული სახელმწიფო პენსია შეუწყვიტა. თუმცა, სასამართლოებმა ერთხმად გაიზიარეს საიას მიერ წარდგენილი არგუმენტები, ბათილად ცნეს სააგენტოს გადაწყვეტილებები და პენსიონერებს აღუდგათ პენსია, ხოლო (გასაცემელის) შეწყვეტიდან აღდგენამდე მიუღებელი პენსია აუნაზღაურდათ.

- **სამედიცინო დაწესებულებას, პაციენტის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა**

საიას ქუთაისის ფილიალი იცავდა პაციენტის ინტერესებს, რომელსაც ქუთაისში, ერთ-ერთ კერძო სამედიცინო დაწესებულებაში, მომსახურება გაუწიეს პროტოკოლის მოთხოვნათა დარღვევით და ინფორმირებული თანხმობის უგულებელყოფით. ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა საქმის განხილვისას მიიჩნიეს, რომ სამედიცინო პერსონალის მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობამ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია, ასევე, მას წაერთვა მომავალში ბიოლოგიური შვილის ყოლის შესაძლებლობა, რადგან მისი ინფორმირებული თანხმობის გარეშე ამოკვეთეს ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ორგანოები. მოპასუხეს, პაციენტის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა.

- **ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა შვილებთან ურთიერთობის უფლება მოიპოვა**

საიას ქუთაისის ფილიალი იცავდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალის ინტერესებს, რომელიც განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას მეუღლისა და ოჯახის სხვა წევრების მხრიდან. ი.მ. გამოაგდეს ოჯახიდან და აუკრძალეს შვილებთან ურთიერთობა. საიას ქუთაისის ფილიალის დახმარებით, მოძალადეების მიმართ გამოიწერა შემაკავებელი ორდერი. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ი.მ-მ მოიპოვა შვილების ნახვისა და მათთან ურთიერთობის უფლება.

- **21 დევნილი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა**

საიას ქუთაისის ფილიალი ეხმარებოდა დევნილებს, რომლებსაც, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე, უარი ეთქვათ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე. საიას დახმარებით, დევნილებმა ეს აქტები გაასაჩივრეს თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვეს უარის თქმის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე, სააგენტოს მიერ მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ აქტის გამოცემა. საიას ქუთაისის ფილიალის ადვოკატები 3 დევნილის ინტერესებს სასამართლოშიც წარმოადგენდნენ, ხოლო დანარჩენებს დაეხმარნენ კონსულტაციითა და სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებით. შედეგად, მათ შეძლეს დავის წარმატებით დასრულება.

ადამიანის უფლებების დაცვა

ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ამოცანაა. ორგანიზაცია სწავლობს ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარებას, აანალიზებს გამოწვევებს და ხელს უწყობს ცვლილებებს პოლიტიკის დონეზე. საანგარიშო პერიოდში საიას ქუთაისის ფილიალმა, გასული წლების მსგავსად, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა.

სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კვლავ განაგრძობდა სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგს. მათ შორის, საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორი აკვირდებოდა პროცესებს ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. შედეგად, გაანალიზდა სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე გამოკვეთილი გამოწვევები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს პირის თავისუფლების და უსაფრთხოების, ასევე, სამართლიანი სასამართლოს უფლებებზე და მათი ეფექტიანი დაცვის საშუალებაზე, იმავდროულად, უკავშირდება სასამართლოში სხვადასხვა სისტემურ პრობლემას.

საიამ სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაცია გამართა ადგილობრივ დონეზე პროკურატურის, ადვოკატთა კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის, ასევე, ანგარიშის მიგნებები და სისხლის სამართლის მიმართულებით არსებული უახლესი პრაქტიკა გაუზიარა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს.

წარმატებული საადვოკაციო კამპანია

საიას ქუთაისის ფილიალი დაეხმარა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჭალასთავის, ნაგარევის, გოდოგნისა და სხვა მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებს შესაბამისი ხარისხის სასმელი წყლის მიწოდების პრობლემის მოგვარებაში.

ადვოკატირების შედეგად, სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტოს იმერეთის სამმართველომ სოფლებიდან აღებული წყლის სინჯებზე ლაბორატორიული კვლევა ჩაატარა. შედეგად, დადგინდა, რომ სასმელი წყლის არცერთი სინჯი რეგლამენტის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა.

ტრენინგები, საჯარო ლექციები და დისკუსიები

საანგარიშო პერიოდში საიას ქუთაისის ფილიალმა ჩაატარა სემინარები, ტრენინგები და საჯარო ლექციები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის. გაიმართა 12 შეხვედრა, მათ შორის, სასამართლო სისტემაში არსებული გამოწვევების, საჯარო ინფორმაციის მიღების წესის, სხვადასხვა მოწყვლადი პირის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და ა.შ. გარდა ამისა, ფილიალის წარმომადგენელი მონაწილეობდა საქართველოს სახალხო დამცველისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის საკონსულტაციო შეხვედრაში. ფილიალის თანამშრომელი ასევე დაესწრო ნორვეგიის მთავრობის, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ევროსაბჭოს ეგიდით ორგანიზებულ შეხვედრას „მათი ბრძოლა, ჩვენი მომავალი: ქალთა უფლებადამცველების გაძლიერება საქართველოში“.

საიას ქუთაისის ფილიალის ადვოკატები მონაწილეობდნენ ადგილობრივ დონეზე გამართულ პანელურ დისკუსიებში, შეხვედრებში და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებთან ერთად განიხილავდნენ ძირითად გამოწვევებს, რომლებიც უფლებების განხორციელების კუთხით არსებობს. მათ შორის, აღსანიშნავია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ ორგანიზებული პანელური დისკუსია თემებზე:

- იმერეთის რეგიონში გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის არსებული სერვისები.
- გამოხატვის თავისუფლება და ქართველთა ბრძოლა თავისუფლებისთვის.

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პრიორიტეტული მიმართულებაა.

წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგი

ქუთაისის ფილიალი აქტიურად იყო ჩართული 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საიას მიერ განხორციელებულ გრძელვადიან სადამკვირვებლო მისიაში. ამ კუთხით საქმიანობა მოიცავდა სხვადასხვა უწყებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნას, გასვლით ვიზიტებს, ქსელურ შეხვედრებს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან და ა.შ.

საინფორმაციო შეხვედრები ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით

საია ქუთაისის ფილიალის მიერ, ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, გაიმართა სამი საინფორმაციო შეხვედრა ფილიალის ოფისში, ასევე, ათი გასვლითი შეხვედრა იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტსა და დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში. შეხვედრებზე საიას ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლებმა მოსახლეობას მიაწოდეს ინფორმაცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ. აგრეთვე, დევნილებს გაუწიეს სამართლებრივი კონსულტაცია.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა საჯარო კონსულტაცია საპარლამენტო არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე. ასევე, გაიმართა ქსელური შეხვედრა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან.

საარჩევნო დავები

საიას ქუთაისის ფილიალის ადვოკატები ჩართულნი იყვნენ საარჩევნო დავებში როგორც წინასაარჩევნო, ისე არჩევნების დღეს და შემდგომ პერიოდში.

ადგილობრივი თვითმმართველობა

ქუთაისის ფილიალის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე მუშაობა. ფილიალის ადვოკატები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საიას პროექტში „საკრებულოს საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება“.

ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლებმა გასვლითი შეხვედრები გამართეს ხონისა და წყალტუბოს სოფლებში. შეხვედრებზე გამოკვეთილი სამართლებრივი პრობლემების თაობაზე მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებს.

იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

ახალგაზრდა იურისტების პროფესიული დაოსტატება კვლავ რჩება ფილიალის ერთ-ერთ მიმართულებად. ახალგაზრდებისთვის ალტერნატიული, განგრძობადი იურიდიული განათლების მიზნობრივი ტრენინგებისა და საჯარო დისკუსიების ორგანიზება - ეს ის მიმართულებებია, რომლებსაც საიას ქუთაისის ფილიალი იურიდიული პროფესიით დაინტერესებულ პირებს სთავაზობს. საანგარიშო პერიოდში ოთხი საჯარო/კერძო სკოლის მოსწავლეებისთვის ჩატარდა ტრენინგები თემებზე: გენდერული თანასწორობა, ადამიანის უფლებების არსი და დაცვის მექანიზმები და ა.შ.

სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლა

2000 წლიდან საიას ქუთაისის ფილიალში ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა, რომლის მიზანია დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის სამართლის საფუძვლების, სამართლის ისტორი-ისა და პრაქტიკული სამართლის სწავლება.

საანგარიშო პერიოდში საკვირაო სკოლაში კონკურსის წესით შერჩეულ 25 მოსწავლეს 10 გაკვეთილი ჩაუტარდა, რომლებსაც ფილიალის სტაჟიორები უძღვებოდნენ. გაკვეთილები შეეხებოდა პრაქტიკული სამართლისა და სამოქალაქო განათლების შემდეგ საკითხებს: ქალთა მიმართ ან ოჯახში ძალადობა, სისხლის სამართლის პრინციპები, ნატოსა და ევროკავშირის არსი და ისტორია, მემკვიდრეობითი სამართალი და ა.შ.

ბრეინ-რინგი

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის ფილიალის ორგანიზებით გაიმართა ბრეინ-რინგი, რომელშიც ფილიალის საკვირაო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. შესრულებული დავალებებისა და ჟიურის შეფასების შედეგად, გამოვლინდნენ საუკეთესო გუნდი და სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მოსწავლეები, რომლებსაც იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა წიგნები გადასცა.

სტაჟირების პროგრამა

საიას ქუთაისის ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრში 2000 წლიდან წარმატებით ფუნ-ქციონირებს სტაჟირების პროგრამა, რომელიც საანგარიშო პერიოდში წარმატებით დაასრულა კონკურსის წესით შერჩეულმა 12-მა სტუდენტმა. პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, იურისტების მეთვალყურეობით შეადგინონ სამართლებრივი დოკუმენტები, გაეცნონ საიას წარმოებაში არსებულ საქმეებს, დაესწრონ კონსულტაციებსა და სასამართლო პროცესებს. სტაჟიორებისთვის ტარდება ტრენინგები სამართლის აქტუალურ საკითხებზე.

საიასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც, საანგარიშო პერიოდში ფილიალში სტაჟირება გაიარა მაგისტრატურის ოთხმა სტუდენტმა. მათ სასწავლო კრედიტები მიენიჭათ.

ბიბლიოთეკა

საიას ქუთაისის ფილიალში ბიბლიოთეკა 1996 წლიდან ფუნქციონირებს. ყოველწლიურად ხორციელდება ბიბლიოთეკის წიგნის ფონდის განახლება იურიდიული ლიტერატურით. საანგარიშო პერიოდში ბიბლიოთეკით 300-მა მკითხველმა ისარგებლა.

საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობა

საიას ქუთაისის ფილიალის წარმომადგენელმა საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო International Visitor Leadership Program (IVLP)-ის პროექტში „სამოქალაქო აქტივიზმისა და მოხალისეობის განვითარება საქართველოში“, რომელიც აშშ-ის ხუთ შტატში ჩატარდა (ვაშინგტონი, ნიუ-იორკი, ფლორიდა, ოკლაჰომა და იუტა). პროგრამის ფარგლებში საიას თანამშრომელს შესაძლებლობა ჰქონდა, შეხვედროდა აშშ-ის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, გასცნობოდა მათი მუშაობის სპეციფიკას, მიეწოდებინა მათთვის ინფორმაცია საიას ისტორიისა და საქმიანობის შესახებ, ასევე, მოესმინა სხვადასხვა სალექციო კურსი და მონაწილეობა მიეღო ლიდერობის შესახებ სემინარში ფლორიდის უნივერსიტეტში.

გარდა ამისა, საიას ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარე მონაწილეობდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ყოველწლიურ არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამაში, რომელიც სომხეთის დედაქალაქ ერევანში ჩატარდა. პროგრამა საკონსულტაციო ხასიათს ატარებდა და მიზნად ისახავდა EBRD-ის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებას. პროგრამაში მონაწილეობა ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ფილიალს აქვს დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სასამართლო დავის წარმოების გამოცდილება, რომლის დაფინანსებაც EBRD-ს ჰქონდა გადაწყვეტილი. პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნა ორგანიზაციას მსგავსი დავების წარმართვაში დაეხმარება.

მედიამონიტორინგი

საიას ქუთაისის ფილიალი აქტიურად თანამშრომლობს რეგიონულ მაუწყებლებთან, რათა საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია სხვადასხვა სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით.

საიას ქუთაისის ფილიალსა და ტელე-რადიო კომპანია „რიონს“ შორის გაფორმებული ურთი-ერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, კვლავ გრძელდება ყოველკვირეული გადაცემა „კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის.“ გადაცემის ფარგლებში განიხილება საზოგადოებისთვის აქტუალური და მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა 30 ტელე-რადიო გადაცემა შემდეგ თემებზე: საკრებულოს ზედამხედველობა აღმასრულებელ ორგანოზე და მოქალაქეთა ჩართულობა; დისციპლინური საქმის წარმოება საჯარო სამსახურში; აქტიური მოქალაქეობის პრინციპები; სამოქალაქო საზოგადოების როლი და მნიშვნელობა; საბანკო ურთიერთობები და გამოსახლების წესი; 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები; კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და ახალი კანონების სამართლებრივი ანალიზი.

საიას ქუთაისის ფილიალის ადვოკატები ასევე აქტიურად თანამშრომლობენ ქუთაისში მოქმედ სხვა მედიაორგანიზაციებთან. საანგარიშო პერიოდში ისინი მონაწილეობდნენ შემდეგ გადაცემებში:

- ტელეკომპანია „მეგა TV“, პოდკასტების გადაცემათა სერია. თემები: სამოქალაქო საზოგადოები განვითარების ისტორია და მნიშვნელობა; რუსული კანონის შედეგები; 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები; წყალტუბოსა და ხონში გამოვლენილი პრობლემები და გადაჭრის გზები და ა.შ.
- საინფორმაციო პორტალი „ქუთაისიპოსტი“, რუბრიკა „სასამართლო საათი“. თემები: გამოსახლების მარეგულირებელი კანონმდებლობა; გამოხატვის თავისუფლება; ფარულობა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე და ა.შ.
- ტელეკომპანია „რიონი“, გადაცემა „პოლიტიკური რუკა“. თემები: ბავშვის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში და შეცვლილი კანონმდებლობის მიმოხილვა; 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები და საიას შეფასება.
- რადიო „ძველი ქალაქი“ და რადიო „თავისუფლება“. სიუჟეტები ელექტრონული წესით ჩატარებული არჩევნებისა და იმერეთის რეგიონში გარემოსდაცვითი კუთხით არსებული გამოწვევების შესახებ.

საიას ქუთაისის ფილიალი სამართლებრივ დახმარებას უწევს ჟურნალისტებს, რომელთა მიმართ ვლინდება ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლა, მათ შორის, როდესაც სახელმწიფო უწყებები უზღუდავენ მათ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

საიას ქუთაისის ფილიალის მმართველი ორგანო – გამგეობა

(2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით)

დარეჯან სალდაძე - თავმჯდომარე

თეონა გოგლიჩაძე - თავმჯდომარის მოადგილე

სალომე სალდაძე

ნანული კირთაძე

ილია გორდულაძე

საიას ქუთაისის ფილიალი

მ. კოსტავას ქ. N11, 4600
ტელ: + (995 431) 241192
ფაქსი: + (995 431) 214585
ელფოსტა: kutaisi@gyla.ge



საიას 2024 წლის ანგარიშის სანახავად გადადით ბმულზე:

https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/REPORT%20GEO%20FINAL%20.pdf